საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-25/ნ
2014 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით (სსმ III, 2006 წ., №19, მუხლი 241) დამტკიცებულ დანართ N2-ში (სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა^2“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა^2) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისათვის: გარდაცვალების მოწმობა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის (შემდგომში - ვეტერანების საქმეთა სამსახური) მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი ან შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა. საჭიროების შემთხვევაში შრომისუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ამასთან დამატებით მშობლებზე – გარდაცვლილის დაბადების მოწმობა, მეუღლეზე – ქორწინების მოწმობა, შვილ(ებ)ზე – დაბადების მოწმობა;“.

2. **მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:**

„4. კომპენსაციის ადმინისტრირებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ წარმოებული ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონული ბაზის მონაცემები, რომელიც სააგენტოს მიეწოდება შეთანხმებული ფორმატით, სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად.“.

3. **მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

„3. ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაცია ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.“.

4. **22-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„9. ამ წესის 14^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში 2014 წლის 1 იანვრიდან არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისამდე წარდგენის შემთხვევაში, კომპენსაციის ანაზღაურება განხორციელდება 2014 წლის 1 იანვრის პერიოდიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო გარდაცვლილის ოჯახის სხვა წევრ(ებ)ზე უკვე გაცემულია კომპენსაცია.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — **დავით სერგეენკო**